აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 36

14 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის პროპორციული საარჩევნო სისტემის ბიულეტენის ტექსტის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის პროპორციული სისტემის ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე